

დამტკიცებულია

სკოლის დირექტორი მიერ ბრ.N 2-02 12.01.2022

**შპს სკოლს-გიმნაზია „პირველის“
გრძელვადიანი(ნწლიანი) განვითარების სტრატეგიული
გეგმა
2022-2028 წწ**



სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს იმ გადაწყვეტილებების და ქმედებებისა, რომლებიც ხელს უწყობს სკოლის ინსტიტუციონალური განვითარებასა და გაუმჯობესებას.

მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას განხორციელდა სკოლის არსებული საქმიანობისა შესწავლა და ანალიზი, მისი დასახულ მიზნებთან შესაბამისობის დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭირო სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებების განსაზღვრის მიზნით. გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები, რეკომენდაციები და შენიშვნები. კვლევის შედეგები სკოლის დირექცია დაეხმარა ძლიერე და სუსტი მხარეების განსაზღვრაში, გამოიკვეთა ის შესაძლებლობები რაც სკოლას გამოყენებული არ აქვს. დაეხმარა რისკების შეფასებაში..

სკოლის მისიაა

შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო. იზრუნოს მოსწავლეებში სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე. მოსწავლის ინტერესებისა, მიდრეკილებების გამოვლენაზე, დამოუკიდებელი სწავლისა და შრომის უნარების განვითარებაზე, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებაზე.

ხელი შეუწყოს არაქართულენოვან მოსწავლეებს (სკოლაში სწავლობს სხვადასხვა ეროვნებისა და აღმასარებლობის ბავშვები) სახელმწიფო ენის სწავლებასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. შექმნას ხელსაყრელი გარემო სსსმ მოსწავლეების განვითარებისა და სოციუმში ადაპტაციისთვის.

სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკა

- ეფუძნება განათლების ეროვნულ მიზნებს; ეროვნულ-სასწავლო გეგმას, სკოლის დებულებებს და შინაგანაწესს.
- საგანმანათლებლო პროცესი აგებულია განათლების უწყვეტობის და თანმიმდევრობის პრინციპზე;
- საგანმანათლებლო პროცესი უზრუნველყოფს თითოეული პიროვნების განვითარების შესაძლებლობას
- არაქართულენოვან კონტიგენტის სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვას, სახელმწიფო ენის სწავლებას, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
- სწავლების მთავარი პრინციპია სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს:
 - ა. საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერებას;

- ბ. მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას;
- გ. შიდა სასკოლო პროექტების დანერგვას და მართვას;
- დ. საგნების სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;
- ე. კვალიფიციური კადრის მოზიდვას

შპს სკოლა-გიმნაზია „პირველის“ მიზნები

სკოლის მთავარი სტრატეგიული მიზანია მომდევნო 6 წლის განმავლობაში შევუწყოთ მოსწავლეებმა შეძლონ სავალდებულო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული დამატებითი პროგრამები წარმატებით დაძლევა.

სტრატეგიული გეგმით დასახულ მიზანს შეფასების ინდიკატორი:

1. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები, ვისაც სურვილი ექნება სწავლის გაგრძელების, გახდება სასურველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი საქართველოში ან საზღვარგარეთ;
2. სკოლა მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე;
3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მუდმივად მონესრიგებული.
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივად განახლება, მოდერნიზება;
5. სკოლაში უზრუნველყოფილი/შენარჩუნებული იქნება უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო;
6. მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში.

ამოცანები

1. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა სკოლაში;
2. მოსწავლეების შესაძლებლობების აღმოჩენის მუდმივი ძიება;
3. მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება
4. სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;
5. თანამედროვე ტექნოლოგიების სრულფასოვანი დანერგვა სწავლების პროცესში.

კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე

SWOT -ანალიზი

<p><u>ძლიერი მხარე</u></p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა მასწავლებლები • მკირე მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში. • სწავლის გადასახადის ინდივიდუალური გადახდის სისტემა • ტოლერანტულობა, რაც გამოხატულია სკოლის მოსწავლეთა მრავალფეროვნებით, იქნება ეს უცხოენოვანი თუ სსმ მოსწავლე, • თანამშრომლობითი განწყობა სკოლის პედაგოგებსა და დირექციას შორის. • მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა • დამატებითი მომსახურება: ფსიქოლოგის საათი, ცეკვა, კარატე, განაგეძლივებული სწავლება, ტრანსპორტირება, კვება • უსაფრთხო, დასუსტი გარემო 	<p><u>შესაძლებლობა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ვარშავის უნივერსიტეტთან და გაცვლით პროგრამის დანერგვა • სკოლის ფართის გაზრდა • არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. • მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით წლის განმავლობაში პროექტ გაკვეთილების ჩატარება • საგნობრივი სასწავლო კურიკულუმების (ე.წ. მატრიცები) ეტაპობრივად შემუშავება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებიდან გამომდინარე, საბაზო საფეხურზე. • კლუბური მუშაობის გაძლიერება • მოსწავლეთა თვითმართველობა • სკოლის ეზო უკეთ მოწყობა • გასვლითი გაკვეთილების დრედ პარასკევის დამკვიდრება
<p><u>სუსტი მხარე</u></p> <ul style="list-style-type: none"> • პანდემიის გამო ფინანსური მდგომარეობა • შემოქმედებით პროექტებში და პროექტ გაკვეთილებში მოსწავლეთა ჩართულობის მოტივაცია • ინტეგრირებული გაკვეთილების ნაკლებობა • კომპიუტერული ტექნიკის გამართულობა • კათედრების ინტეგრირებული მუშაობა • სადამრიგებლო მუშაობის გაძლიერება საბაზო და საშუალო საფეხურზე • ონლაინსწავლების პორცესში საბუნებისმეტყველო მიმართულებით ქიმია-ფიზიკა ვირტუალური ლაბორატორიის ხშირად გამოყენება, შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მოძიება. 	<p><u>რისკები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალური პანდემიით გამოწვეული შესაძლო გართულებული ეპიდ სიტუაცია ქვეყანაში. • ეკონომიკური ცვლილებები • გართულებული ეპიდ სიტუაციის გამო, სკოლაში ინფექციის დაფიქსირების შემთხვევაში სწავლების ფორმატის ხშირი ცვლა • მოსწავლეთა გადინება პანდემიის გამო საჯარო სკოლაში • კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება

- საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობა

ექვსწლიანი გეგმის სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი I. მართვის სისტემა

1. ხედვა

შპს სკოლს-გიმნაზია „პირველს“ მართავს სკოლის დირექტორი, რომელიც ასევე არის დამფუძნებელი, ის მართავს და არეგულირებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობს პედსაბჭოს სხდომებზე, წარმართავს საკადრო პოლიტიკას;

- ✓ სკოლას მიაჩნია, რომ აუცილებელია ფუნქციონირება თანამიმდევრული გადანაწილება დასაქმებულთა შორის და მათი ზუსტი შესრულება, სკოლის დებულებით, შინაგანაწესით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ✓ სკოლაში გადანაცვების მომზადება და მიღება განხორციელდება საჯაროობისას და გამჭვირვალობის პირობებში, თანამშრომელთა ნდობისა და ურთიერთმომთხოვნელობის მაღალი კულტურის გათვალისწინებით.

2. **პროგრამა** –სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რაც მუდმივად განახლებადია და ამ პროცესში მონაწილეობს დასაქმებულთა დიდი ნაწილი;

სტრატეგიული მიზანი II. მატერიალურ ტექნიკური ბაზა

1. **ხედვა** –სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შენობის ფუნქციური და ესთეტიკური მხარის მუდმივად წესრიგში ყოფნა, ელექტრო გაყვანილობის, წყალმომარაგებისა და გათბობის სისტემების შეუფერხებლად მუშაობა; კომპიუტერული ბაზის გაძლიერება, სპორტული ბაზის გაუმჯობესება;

2. **პროგრამა** –სკოლას სურვილი ჰქონდა შენობის ფართის გაზრდის, ამ მიზნით მიმართა მერია, სკოლის შენობაზე სართულის დაშენებით სადაც სკოლა გეგმავდა ბიბლიოთეკისა და სპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თუმცა მერიიდან უარი

მიიღო. სკოლას სურვილი აქვს შეისყიდოს სკოლის მიმდებარე ტერიტორი და გაიუმჯობესოს ინფრასტრუქტურა.

სტრატეგიული მიზანი III. ხარისხის უზრუნველყოფა

1. **ხედვა** - სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური. სამსახური ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.
- პროგრამა** – სასწავლო პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგის ანალიზი და შედეგების განხილვა ცალკეულ პედაგოგთან.
- ✓ მოსწავლეთა შეფასების ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციების განხილვა პედაგოგთა საერთო შეხვედრებზე, პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავება.
 - ✓ საგნობრივი გაერთიანებების შეკრებებზე პერიოდულად, ცალკეული საფეხურების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნის მიღწევის საშუალებების განხილვა, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისა და საათობრივი დატვირთვის ეფექტიანობის განსაზღვრა;
 - ✓ კლასის დამრიგებლებთან საერთო შეკრებებზე (არანაკლებ თვეში ერთხელ) ცალკეული კლასების მდგომარეობის შეფასება, როგორც აღმზრდელობით ასევე საგანმანათლებლო კუთხით, რითაც განისაზღვრება საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ეფექტიანობა;
 - ✓ მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების მიზნობრივი პერიოდული გამოკითხვები შემუშავებული კითხვარების მიხედვით;
 - ✓ სპეც. მასწავლებელთან და სკოლის ფსოქოლოგთან მუშაობა სსსმ მოსწავლეების სწავლის შედეგების განხილვა და პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

სტრატეგიული მიზანი IV საკადრო პოტენციალი

1. **ხედვა** – სკოლას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია გამოცდილი, პროფესიონალი და მოტივირებული თანამშრომელი წარმატების გარანტიაა.
2. **პროგრამა** – სკოლამ აქტიურად მუშაობს იმუშავოს ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარზე და მასში მითითებული მოთხოვნების უზრუნველყოფაზე;
სკოლამ ვალდებულებად მიიჩნევს, რომ ხელი შეუწყოს პედაგოგთა სხვადასხვა ტიპის ტრენინგებში მონაწილეობის საქმეს, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული მომთხოვნილობის მაღალი ხარისხით სწავლებისა და აღზრდის უწყვეტ მონიტორინგს სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის და კათედრების ხელმძღვანელთა მხრიდან, უმთავრესი მოთხოვნა უნდა იყოს სკოლის დაკომპლექტება პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კადრებით, რაც ხელს შეუწყობს გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას. სკოლის თვის პრიორიტეტია ახალგაზრდა პედაგოგების დასაქმება, რომლების მოტივირებული რიან პროფესიულ განვითარებაზე და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე სასწავლო პროცესში.

სტრატეგიული მიზანი V. მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემა

- ხელვა** – წარმატებაზე და მუდმივ განვითარებაზე ფიქრი შეუძლებელია მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ასევე მმართველი გუნდის (დირექცია-ადმინისტრაცია) სათანადო მოტივაციისა და წახალისების გარეშე. ამგვარი მოტივაციის არსებობა ხელს უწყობს სიახლოვანობას, აღქმისა და დანერგვის პასუხისმგებლობისა და საშემსრულებლო დისციპლინის გრძელვადიან ფუნქციონირებას ხარისხიანად შესრულებას შედეგებისდაგვარად;
- პროგრამა** – სკოლის შინაგანაწესში ნათლადაა ჩამოყალიბებული წახალისების მექანიზმი, სკოლას მიზანშეწონილად მიაჩნია წახალისებისათვის სპეციალური ფონდის შექმნა და ფონდისათვის სახსრების გამოყოფა სკოლის შემოსავლებიდან.

ექვსნობიანი განვითარების გეგმა

1. სტრატეგიული მიზანი: მართვის სისტემები

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი სტრუქტურა	ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება
შედეგი 1.1 საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა დახვეწილია			
1.2.1 სკოლის სტრუქტურის, დებულების, შინაგანაწესისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების დახვეწა	საჭიროებიდან გამომდინარე	<ul style="list-style-type: none"> სკოლის დირექტორი; ბუღალტერი; საქმეთამართველი; 	<ul style="list-style-type: none"> შესაბამის სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებების რაოდენობა; მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა;
შედეგი 1.2: საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა			
1.2.2 ვებ გვერდი შექმნილია და განახლებულია მიმდინარე რეჟიმში	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> სკოლის დირექტორი; ბუღალტერი; ისტ მენეჯერი; 	<ul style="list-style-type: none"> მოქმედი ვებგვერდი ვებ-გვერდის ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა

სტრატეგიული მიზანი 2 :მატერიალურ ტექნიკური ბაზა

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი სტრუქტურა	ინდიკატორები და გადამონმების საშუალება
2..1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დირექტორი; - ბუღალტერი; - სკოლის დაფუძვნებლები; 	- წერილობითი ანალიზი;
2..2. არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გადახალისება (განახლება)	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დირექტორი; - ბუღალტერი; - სკოლის დაფუძვნებლები; 	- წერილობითი ანალიზი;
2..3. ბიბლიოთეკის ანალიზი და განახლება, წიგნადი ფონდის გაზრდა გადახალისება	მიმდინარე პროცესში	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დირექტორი; - ბიბლიოთეკარი; - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; 	- წიგნადი ფონდი გაზრდილია;
2..4. სკოლის მიმდებარე ფართის შექმნა	2027-2028	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დამფუძნებლები - ბუღალტერი; - 	- საჯარო რეესტრის ამინანერი
2.5. ბიუჯეტის პროექტი	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> - სკოლის დირექტორი; - ბუღალტერი; 	- ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია

აქტივობები	ვადები	პასუხისმგებელი სტრუქტურა	ინდიკატორები და გადამოწმების საშუალება
		სკოლის დაფუძვნებლები;	

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

შედეგი: 3.1: შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამა;			
სასწავლო პროცესის შეფასების და მონიტორინგი	ყოველი წლის ბოლოს	<ul style="list-style-type: none"> სკოლის დირექტორი; ხარისხის სამსახური 	შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამები, პროგრამის კატალოგი და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა, ვებ გვერდზე განთავსებული
შედეგი: 3.2: განხორციელებულია შიდა და გარე თვითშეფასება;			
1. თვითშეფასების ანგარიშის შევსება - ავტორიზაციის მოპოვების მიზნით და ავტორიზაციის მოპოვება;	2022 -	<ul style="list-style-type: none"> სკოლის დირექტორი; ხარისხის სამსახური 	- ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განაცხადი სკოლა ავტორიზებულია;
2. ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის შევსება	ყოველწლიურად	<ul style="list-style-type: none"> სკოლის დირექტორი; ხარისხის სამსახური 	- თვითშეფასების ანგარიში შევსებულია
3. მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით სასკოლო კლუბების შექმნა და	2022-2029	- სკოლის დირექტორი	კლუბები შექმნილია და ინტერესების გათვალისწინებულია

ფუნქციონირება			
5. ტრენინგებისა და სემინარების (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება	და დაგეგმვა სწავლების ახალი დირექტორი, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, აკადემიური დირექტორი	- 2022-2028 - საჭიროებისამებრ	
6. მოსწავლეთა და მშობელთა სასწავლო დაკავშირებით მოსაზრებების, საჭიროებების მიზნით	და გამოკითხვა პროცესთან მათი იდეების, კვლევის	ხარისხის მართვის სამსახური - 2022-2028 - ყოველწლიურად	მნიშვნელოვანი აქტივობაა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი ხეხდება ყოველწლიურად ვლო წლის დაგეგმვა

სტრატეგიული მიზანი IV საკადრო პოტენციალი

შედეგი 4: ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა გაუმჯობესებულია			
1. თანამშრომელთა სამუშაოს აღწერილობები, პირადი საქმეების მუდმივი სრულყოფა	2022 - 2028	- სკოლის დირექტორი; - ბუღალტერი; - საქმეთამართველი;	დამტკიცებულია სკოლის დებულება
2. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	2022 - 2028	- სკოლის დირექტორი; - ხარისხის სამსახური	
3. გადამზადების დაგეგმვა	2022- 2028	- სკოლის დირექტორი;	ბიუჯეტი

		– ხარისხის სამსახურიბუღალტერი;	და/ან სხვადასხვა ორგანიზაცი ებთან შეთანხმების დამადასტუ რებელი დოკუმენტი;
--	--	-----------------------------------	--

სტრატეგიული მიზანი V. მოტივაციის ამაღლებისა და წახალისების სისტემა

შედეგი V.I მოტივაციის ამაღლება			
1. სკოლის თანამშრომლებისთვის პრემიების გაცემის სისტემის შემუშავება	2022 - 2028	– სკოლის დირექტორი; – ბუღალტერი; –	განერილია შინაგნანსში
2. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთად სახელფასი სარგოს გაზრდა	2022 - 2028	– სკოლის დირექტორი; – სკოლის დამფუძნებლები	
შედეგი V.II წახალისების სისტემა			
1. წარმატებული მოსწავლეებისთვის სიგელების და ფასიანი საჩუქრების გადაცემა			